შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№10 (9.870)

30 მარტი–6 აპრილი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ისრაელში ფინანსისტთა ყრილობაში მუნიციპალიტეტის მერი მონაწილეობს

გვ. 2

ყველასათვის საყვარელი მოძღვარი

გვ.4

„ახალგაზრდული იდეა“ – გზა ცვლილებებისა და განვითარებისაკენ

გვ. 6

დედოფლისწყაროში სასწრაფო დახმარების ცენტრის მშენებლობა დაიწყება

გვ. 3

31 მარტი რეფერენდუმის დღეა

გვ. 3

ზვიად გამსახურდია:

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

რა უნდა იცოდე, თუ დაგროვებით პენსიაზე უარის თქმას აპირებ

გვ. 2

დედათა მონასტერი რომ გაძლიერდეს!

ღვთის ჯარისკაცები თუ მესაზღვრეები?!

გვ. 6

მამუკა ბახტაძე: ტყუილია, თითქოს საქართველო გაქრა დასავლეთის პოლიტიკური დღის წესრიგიდან

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის განცხადებით, ნატოს გენერალურმა მდივანმა დადებითად შეაფასა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესი და ხაზი გაუსვა იმ პროგრესს, რაც საქართველომ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიაღწია.

თუმცა პრემიერის განცხადებით, მიუხედავად ამისა, არ წყდება არასწორი ინფორმაციის, ე.წ. ფეიქ ნიუსების გავრცელება იმის თაობაზე, თითქოს საქართველო გაქრა დასავლეთის რადარებიდან და აღარ დგას დასავლეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში:

„მხოლოდ ბოლო რამდენიმე დღის ქრონოლოგია რომ მოვიყვანოთ მაგალითად, ვნახავთ, რომ არასწორი ინფორმაცია ვცრელდება. ამის დასტურია ის, რომ დღეს საქართველო მასპინძლობს საერთაშორისო სწავლებებს და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნატოს არაწევრ ქვეყანას მიეცა შესაძლებლობა, თავად დაეგეგმა და ეხელმძღვანელა ნატოს სწავლებებისათვის, ქვეყანას ესტუმრა ნატოს სამხედრო კომიტეტი, გუშინ, ბრიუსელში საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობით ნატო-საქართველოს კომიისიის სხდომა გაიმართა და ერთობლივი ნაბიჯებიც დაიგეგმა შავი ზღვის უსაფრთხოების კონცეფციაში... მომავალ კვირაში ვაშინგტონში დაგეგმილია ნატოს მინისტერიალი, სადაც განხილვის ერთ-ერთი თემა სწორედ შავი ზღვის აუზი იქნება. და ეს მხოლოდ ბოლო რამდენიმე დღის ამბებია“, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ეროვნული ინტერესი დგას პარტიულ ინტერესებზე მაღლა და ის იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოება ადეკვატურად შეაფასებს იმ უპასუხისმგებლო განცხადებებს, რომლებიც საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობების თაობაზე ვრცელდება.

„ეს არის ისეთი ტყული, რომელსაც აქვს ძალიან მოკლე ფეხები“, - განაცხადა პრემიერმა.

მამუკა მდინარაძე - არარელევანტური და არასწორია კითხვა იმის თაობაზე, გავითვალისწინებთ თუ არა ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციას

არარელევანტური და არასწორია კითხვა იმის თაობაზე, გავითვალისწინებთ თუ არა ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციას - ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განუცხადა.

მდინარაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის წესთან დაკავშირებით მომზადებულ კანონპროექტზე მმართველი გუნდი ყველა სამართლებრივად ლოგიკურ და კონსტიტუციასთან შესაბამის რეკომენდაციას გაითვალისწინებს.

ამ კონტექსტში დღეს მდინარაძემ ისიც გაიხსენა, რომ საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში ვენეციის კომისიის რეკომენდაცია იყო, პარლამენტი საერთოდ არ ჩარეულიყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის პროცესში, თუმცა მმართველმა გუნდმა ეს რეკომენდაცია არ გაითვალისწინა, რაც სწორი გადაწყვეტილება იყო.

„უხერხულია კითხვა იმის შესახებ, გავითვალისწინებთ თუ არა ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციას. ასეთი დათქმა თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს. ვენეციის კომისია არის ძალიან ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც რეკომენდაციებს გასცემს და პასუხისმგებლიანი სახელმწიფოები ამ რეკომენდაციების დიდ ნაწილს იზიარებენ“, - აღნიშნა მამუკა მდინარაძემ.

ფინანსისტთა ყრილობაში მუნიციპალიტეტის მერი მონაწილეობს

„25-28 მარტს, ქალაქ ეილატში იმართება ისრაელის მუნიციპალიტეტების ფინანსისტთა ყრილობა, რომელსაც ესწრებიან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის პრეზიდენტი დავით ხოსრუაშვილი, ბოლნისის მერი დავით შერაზადიშვილი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვიცე მერი დავით ჭანტურია, თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი.“

ტუბერკულოზის დღე აღნიშნეს

24 მარტს, ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს წითელი ჯვრის ორგანიზაციამ საინფორმაციო აქცია ჩაატარა. აქციის სლოგანი იყო “დროა, ვიმოქმედოთ!” ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტუბერკულოზთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ფაქტორია. საინფორმაციო აქციაში აქტიურად ჩაერთნენ ახალგაზრდა მოხალისეები, რომლებმაც ქ. დედოფლისწყაროში ფლაერები დაარიგეს.

ბიოსფერული რეზერვატის განხორციელების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა და კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრს შორის ევროკავშირის მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ერთობლივად განხორციელების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა.

ხელშეკრულებას ხელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მერის პირველმა მოადგილემ, დავით ფხოველიშვილმა (მუნიციპალიტეტის მერი ოფიციალური ვიზიტით ისრაელში, ქ. იელატში იმყოფება) და ცენტრის დირექტორმა, სოფიკო ახობაძემ მოანერეს.

პროექტის – „ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მოდელის, შექმნა კახეთის რეგიონში“ ხანგრძლივობა ორი წელია და ამ დროის განმავლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შეიქმნება ბიოსფერული რეზერვატი, რომელიც არა მხოლოდ დედოფლისწყაროს, არამედ მთლიანად კახეთის რეგიონის განვითარებას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილებით, გრანდიოზული მასშტაბისა და მნიშვნელობის პროექტი საქართველოს მხოლოდ სამ მუნიციპალიტეტში-დედოფლისწყაროში, ფოთსა და ზესტაფონში ხორციელდება.

რა უნდა იცოდე, თუ დაგროვებით პენსიაზე უარის თქმას აპირებ

ვისაც დაგროვებით პენსიაში მონაწილეობა არ სურს, საპენსიო სქემიდან გასვლის შესაძლებლობა 1 აპრილიდან მიეცემა.

ვის შეუძლია პენსიაზე უარის თქმა?

დაგროვებითი პენსიის სქემიდან გასვლის შესაძლებლობა აქვს პირს, რომელიც 2018 წლის 6 აგვისტოს უკვე 40 წლის იყო.

როდის დავწერო განცხადება?

საპენსიო სქემა 2019 წლის 1 იანვარს ამოქმედდა, მაგრამ რადგან ყველა უშუალოდ ამ დღესვე არ დარეგისტრირებულა, საპენსიო სააგენტო ათვლის წერტილად იღებს თარიღს, როდესაც ამა თუ იმ სამსახურის ბუღალტერმა დეკლარაცია შეავსო, დახურა და თანამშრომლები საპენსიო სქემაში გააწევრიანა.

ამ თარიღიდან სამი თვის შემდეგ პირს უკვე შეუძლია განცხადების დაწერა საპენსიო სქემიდან გასვლის შესახებ.

სად ვნახოთ დეკლარაციის შევსების თარიღი?

ეს შეიძლება გაარკვიოთ ბუღალტერთან და საპენსიო სააგენტოს საიტზეც. მეტი სიზუსტისთვის ჯობს ორივე წყარო გამოიყენოთ.

1. შედიხართ საპენსიო სააგენტოს საიტზე:

2. შედიხართ ველზე: სააგენტოს სისტემაში შესვლა.

3. ავსებთ ორ ფანჯარას: მომხმარებლის ფანჯარაში წერთ პირად ნომერს, პაროლის ფანჯარაში კი პაროლს, რომელიც თქვენმა ბუღალტერმა სისტემაში დარეგისტრირებისას მიიღო. ბუღალტერი ვალდებულია მოგაწოდოთ ეს პაროლი.

4. თუ ორ ან მეტ ადგილას ხართ დასაქმებული, საჭიროა ორი პაროლი.

ყურადღება!

საპენსიო სქემაში რეგისტრაციიდან სამი თვის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ გახვიდეთ სისტემიდან, სისტემიდან გასვლა ორი თვის განმავლობაში არის შესაძლებელი.

თუ ამ ვადაში ვერ მოასწარით, შემდეგ საპენსიო სქემას უკვე ვეღარ დატოვებთ.

თუმცა, თუ გახვედით, დაბრუნების შესაძლებლობა ძველებურად გრჩებათ.

სად და როგორ დავწერო განცხადება?

განაცხადი პენსიიდან გასვლის შესახებ უნდა დაწეროთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალებში. საქართველოს მასშტაბით სულ 69 ფილიალია

ასევე, განცხადების დაწერა შეგიძლიათ საპენსიო სააგენტოს მთავარ ოფისში, თბილისი - ნ. ყიფშიძის 7ბ-ა.

განცხადების დაწერის პროცედურა ადვილია და სამ წუთზე მეტს არ მოითხოვს.

ხელმოწერის შემდეგ განცხადება აიტვირთება სისტემაში და ამ დროიდან თქვენ უკვე აღარა ხართ საპენსიო სააგენტოს მომხმარებელი.

თუ ამ ორი თვის განმავლობაში განცხადების დასაწერად მისვლას ვერ ახერხებთ, თქვენს ნაცვლად განცხადების დაწერა შეეძლება პირს, რომელსაც თქვენგან სათანადო მინდობილობა აქვს.

სად წავა უკვე დაგროვებული ფული?

საპენსიო სქემიდან გასვლის შემდეგ დაგროვებული თანხა შემომტანებს (სახელმწიფო, დამსაქმებელი, მოქალაქე) უბრუნდება.

31 მარტი რეფერენდუმის დღეა

28 წელი გავიდა 1991 წლის 31 მარტს საქართველოში გამართული საყოველთაო სახალხო რეფერენდუმიდან, რომელშიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98 პროცენტმა.

რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო "სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი". რა ვითარებაში ჩატარდა „დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი" და როგორ აღნიშნეს საქართველოს უახლესი ისტორიის ეს მნიშვნელოვანი თარიღი თბილისში?

1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე. როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილე ნემო ბურჭულაძე იხსენებს, დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის ჩატარება დააჩქარა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარებულმა რეფერენდუმმა, რომლის შეკითხვა ასეთი სახით იყო ჩამოყალიბებული: გსურთ თუ არა საბჭოთა კავშირის შენარჩუნება:

„სხვა ყოფილმა რესპუბლიკებმა მიიღეს მონაწილეობა, ჩვენ კი უარი განვაცხადეთ და ამის საპასუხოდ ჩავატარეთ ჩვენი რეფერენდუმი, რაც ძალიან რთული იყო თუნდაც მწირი ტექნიკური შესაძლებლობების გამო, მაგრამ სულ რაღაც ორ კვირაში მოვამზადეთ ყველაფერი და ჩავატარეთ რეფერენდუმი, თუმცა მაშინ მოსახლეობის განწყობაც სხვანაირი იყო. 90 პროცენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა და 97 პროცენტზე მეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას".

ნემო ბურჭულაძის თქმით, მნიშვნელოვანია ის, რომ რეფერენდუმი გაიმართა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის — აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთი ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას აფხაზეთში მცხოვრებმა 210 000 ხმის უფლების მქონე ქართველმა და აფხაზმა დაუჭირა მხარი. გარდა ამისა, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის 32 პროცენტს შეადგენდნენ:

„შეუძლებელია, რომ წინააღმდეგობები არ ყოფილიყო, მაგრამ ამ რეფერენდუმმაც გამოაჩინა, რომ გინდა ცხინვალის რეგიონში და გინდა აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობა არ იყო სახალხო. ჩვენ გვიწევდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა რუსეთთან, რომელიც, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობებს გვიქმნიდა. ცხადია, მოსახლეობის სეპარატისტულად განწყობილი ნაწილიც ეწინააღმდეგებოდა, მაგალითად, გუდაუთის რაიონში, მაგრამ ჩატარდა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და მოსახლეობამ მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ცხადია, თუნდაც მარტო რეფერენდუმში მონაწილეობის მიღება ნიშნავდა ბევრ რამეს".

სწორედ ზვიად გამსახურდიამ, რეფერენდუმიდან რამდენიმე დღეში, 1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა:

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველოს უახლესი ისტორიის ორი უმნიშვნელოვანესი თარიღია. როგორც სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია ამბობს, 1991 წლის 31 მარტს, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ქართველი ხალხი, როგორც გარკვეული კულტურისა და პოლიტიკის დამოუკიდებელი გამტარებელი ერთობა, პირველად გამოვიდა მსოფლიოს წინაშე.

„ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ფუძემდებლური მოვლენა ჩვენი ქვეყნისთვის. ეს დღე ქართველი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში, კულტურულ მეხსიერებაში მუდმივად უნდა ფიგურირებდეს როგორც ერთგვარი ამოსავალი, დაბადების ტოლფასი მოვლენა. ცხადია, ქართველი ერი არის უძველესი, მაგრამ ეს დღე არის პოლიტიკური ერის დაბადების დღე"-განაცხადა ემზარ ჯგერენაიამ.

„ქვეყნის დიდი სირცხვილია, რომ გამსახურდიას დაღუპვის გარემოებები გამოუძიებელია"...

„მნიშვნელოვანი თარიღი დგება, 31 მარტს ზვიად გამსახურდიას ოთხმოცი წელი შეუსრულდებოდა. ეს დღე ბევრ მივიწყებულ ტკივილს გაგვიღვიძებს, ბევრ რამეს გაგვახსენებს და ჩვენ მართლაც გვჭირდება სერიოზული დაფიქრება და უახლოესი წარსულის სწორი ანალიზი. იმ უახლოესი წარსულის, რომელიც სწორედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ტრაგიკული ისტორიით იწყება", — ნათქვამია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის წერილში, რომელიც გავრცელდა.

„როგორ მოხდა, რომ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სამშობლოს თავისუფლებისთვის იბრძოდა, რომელმაც რეალობად აქცია მრავალი თაობის ოცნება და გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, ცოტა ხანში სწორედ ამ დამოუკიდებელ საქართველოში ტრაგიკულად დაიღუპა ისევ საკუთარი თანამემამულეებისგან დაუნდობლად დევნილი.

როგორ და რატომ მოხდა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარიჟრაჟზე, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა ერთიანობა, ამ დროს ჩვენ ერთმანეთს დავერიეთ და ქვეყანა დავანგრიეთ. არ იქნებოდა სწორი გარეშე მტრისთვის ყველაფრის დაბრალება, მტერი ყოველთვის ისე იქცევა, როგორც მტერი უნდა იქცეოდეს, ჩვენ ჩვენი შეცდომები უნდა გავაანალიზოთ და ის მიზეზები მოვძებნოთ, რაც ამ შეცდომების დაშვებას გვაიძულებს.

პარტიის თავმჯდომარემ ასევე ქართველ გმირებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათ ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ, რადგან მომავალს „პირნათლად გავუსწოროთ თვალი".

სიმბოლურია, რომ ზვიადის დაბადების დღიდან რამდენიმე დღეში ოცდაათი წელი სრულდება, რაც ჩვენი გმირები თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირნენ და ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ ამ მოვლენის მნიშვნელობის შესახებ.

31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა, სულ მალე ოთხმოცი წლის გახდება მერაბ კოსტავა, სწორედ ზვიადის და მერაბის სახელებს უკავშირდება ტრაგიკული ცხრა აპრილის გამარჯვების დღედ გარდაქმნა და მეორე რესპუბლიკის დაბადების დღედ გამოცხადება. ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ ჩვენს გმირებს და ამასთანავე სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ წარსულიდან, რათა შევძლოთ, პირნათლად გავუსწოროთ თვალი მომავალს - 31 მარტი არის დაბადების დღე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, რომელიც შეეწირა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას და რომლის საქმემაც გაიმარჯვა!" — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1993 წლის 31 დეკემბერს ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში გარდაცვლილი იპოვეს. 1994 წელს საქმე თვითმკვლელობის მუხლით აღიძრა. 2009-2011 წლებში პარლამენტში ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეზე დროებითმა სპეციალურმა კომისიამ იმუშავა, რომელსაც დეპუტატი კონსტანტინე გამსახურდია ხელმძღვანელობდა. კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც მიმართავდა მთავარ პროკურატურას „სათანადო რეაგირება" მოეხდინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების საქმეზე გამოვლენილ „ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე".

დედოფლისწყაროში სასწრაფო დახმარების ცენტრის მშენებლობა დაიწყება

წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა იგეგმება. ამის შესახებ დედოფლისწყაროს მერიაში აცხადებენ. არსებული ინფორმაციით, პროექტის ღირებულება 293 378 ლარია და მშენებლობა უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს. ჯერ უცნობია, რომელი კომპანია შეასრულებს სამუშაოებს, თუმცა ცნობილია, რომ რეგიონული განვითარების ფონდის ფინანსები დაიხარჯება.

შენობა სავარაუდოდ, ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე აშენდება, რომელმაც ბოლო წლებში ახალი დატვირთვა შეიძინა. წლების მანძილზე უყურადღებოდ მიტოვებულმა სივრცემ ახალი ფუნქცია შეიძინა. აქვე განთავსდა ახლადაშენებული საავადმყოფო და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესეულებები. ამჯერად, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ შენობაში სასწრაფო დახმარების სამსახური განთავსდება. შეგახსენებთ, სამსახური მაღალი გამავლობის ახალი ავტომობილებით 2015 წელს აღიჭურვა.

საკითხი განსახილველად უკვე გაიტანეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 მარტის სხდომაზე. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, აღნიშნული თანხა აისახა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში.

როგორც საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში გაზეთ „შირაქს" განუცხადეს, 2019 წელს სასწრაფო სამედიცინო დახმარების 40 ახალი ცენტრი აშენდება. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ადმინისტრაციული შენობები სრულად იქნება აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ადგილზე პერსონალისთვის სამუშაო და მოსასვენებელი ყველა პირობა შეიქმნება.

„ამ დროისთვის, არსებული ეკიპაჟები სრულად უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ახალი ცენტრების აშენება კი, სწორედ ამ პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, რაც თავის მხრივ, გადაუდებელი დახმარების ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის. სასწრაფოს რაიონული სამსახურებისთვის, ძირითადად, შენდება ერთიდაიმავე ტიპისა და კონცეფციის ნაგებობები, განსხვავდება მხოლოდ მასშტაბები. ამა თუ იმ რაიონული ცენტრის შენობის მოცულობა დამოკიდებულია ეკიპაჟების რაოდენობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიწოდებას, ახალ შენობაში განთავსდება მხოლოდ სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახური," — განმარტეს ცენტრის პრესსამსახურში.

2018 წელს ახალ შენობებში უკვე განთავსდა ჩოხატაურის, ფოთის, ბორჯომის, ხონის, ქობულეთის, საჩხერის, ახალციხისა და თელავის რაიონული სამსახურები.

გოჩა ჩერქეზიშვილი

ყველასათვის საყვარელი მოძღვარი



ყველასათვის საყვარელი მოძღვარი, სწორედ ასე შეიძლება დაახასიათო დეკანოზი ნიკოლოზი (ლომსაძე), რომელიც ამჯერად იუბილარია. 2 აპრილს ის 50 წლის ხდება. ნახევარი საუკუნე ცოტა არ არის, მით უმეტეს, თუ ამ ხუთ ათეულ წელში იმდენი სასარგებლო და სასიკეთო საქმის კეთება მოასწრო, რამდენიც მამა ნიკოლოზმა. ის 1969 წლის 2 აპრილს ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიანში დაიბადა თამაზ ლომსაძის და ემილია მელიქიძის ოჯახში. უფროს დასთან, ირმასთან და უმცროს ძმასთან, დავითთან ერთად ლაღი და ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. დაამთავრა ნინიგორის საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სასულიერო აკადემია. მოღვაწეობა დაიწყო სიღნაღის ეპარქიაში 1997 წელს, როდესაც ის სიღნაღის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დიაკვნად აკურთხეს. ერთი წლის შემდეგ სიონის საკათედრო ტაძარში მისი მღვდლად კურთხევის ცერემონია შედგა. 1999 წლის სექტემბერში დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სახელობის სამლოცველო სახლში დაინიშნა და, აგერ უკვე 20 წელია, ის ჩვენს ეპარქიაში მოღვაწეობს. მის სახელს უკავშირდება ის პროგრესი, რაც ჩვენი რაიონის მოსახლეობამ მასთან ერთად გაიარა სულიერი გაძლიერების გზაზე. მაშინ, სამლოცველო სახლის ნახევარსაც კი ვერ ავსებდა მრევლი. წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, სწორედ იმ გუნდმა, რომელიც მაშინ გალობდა და ლოცვებს კითხულობდა, შემოგვინახა სამლოცველო სახლიც და იქ არსებული დიდი მნიშვნელობის ძვირფასი ხატები თუ სარიტუალო ნივთები. ისე აგიხდეთ ყველა ნატვრა, როგორც იქ მდგომ ქართველ მრევლს აგვიხდა სურვილი, ქართულ ენაზე და ტაძარში მოგვესმინა წირვა-ლოცვა და გალობა. მაშინ ქალაქის ცენტრში დაწყებული ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის საძირკველი იყო მხოლოდ. სწორედ მამა ნიკოლოზის დიდი ძალისხმევით, ტაქტით და მოხერხებულობით, მრევლის მხარში დგომით გახდა შესაძლებელი, ტაძრის დასრულება. დღეს ამ ტაძარში მოხატვის სამუშაოები მიმდინარეობს. ადგილზე ბევრმა ახალგაზრდამ აირჩია უფლის სამსახურის გზა, მიიღეს წოდებები და დღეს ბევრი მოქმედი ტაძარი გვაქვს, სადაც წირვა-ლოცვას ჩვენი თანამემამულე მღვდელმსახურები აღასრულებენ. გარემონტდა და ფუნქცია დაუბრუნდა ეკლესიებს სოფლებში: წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასა — ზემო მაჩხაანში, წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარს – არბოშიკში, წმინდა სერაფიმე საროველის ეკლესიას – სამრეკლოში, სამთაწყაროში შეკეთდა სამლოცველო სახლი, რომელიც დღეს უკვე სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენს, აშენდა გამარჯვების სამების სახელობის ტაძარი, მშენებლობის პროცესშია არხილოსკალოს ხარების ეკლესია, მრავალ სოფელში გაიხსნა სამლოცველო სახლები და ამ ყველაფრის გვირგვინი ელიას მთაზე აღდგენილი წმინდა ილია თეზბიტელის სახელობის ეკლესია, რომელიც მერცხლის ბუდესავით აჰკვრია მთის კლდოვან, ციცაბო კალთას და ულამაზესია. ამ ყველაფერში ლომის წილი სწორედ მამა ნიკოლოზს მიუძღვის. მან გამოაცოცხლა და ახალი სული ჩაჰბერა ჩვენს სასულიერო ცხოვრებას, გაამრავლა და რწმენა განუმტკიცა მრევლს, მოიპოვა მათი ნდობა, პატივისცემა და დიდი სიყვარული. სწორედაც დამსახურებულად მიიღო მან დეკანოზის წოდება 2006 წელს, როგორც დამსახურებული დეკანოზი 2010 წელს დაჯილდოვდა, „გამშვენებული ჯვრის“ ტარების, ხოლო 2017 წელს – მიტრის ტარების უფლებით.

ის არა მარტო ღირსეული მოძღვარი და ადამიანია, ამავე დროს არის დიდი და შესანიშნავი ოჯახის თავკაციც. ჰყავს ექვსი ერთიმეორეზე უკეთესი შვილი, თბილი და მოსიყვარულე მეუღლე ეკატერინე ლომსაძე,

მოდით, მოვუსმინოთ, როგორია ის როგორც მეუღლე და როგორც მამა.

ეკატერინე ლომსაძე – 1996 წელს ლაგოდეხში ტაძარში გავიცანით ერთმანეთი. ის სტიქაროსანი იყო, მე – მრევლი. მოგვეწონა ერთმანეთი და შევქმენით ოჯახი. ლაგოდეხიდან ცოტა ხანს რუსთავში გადავედით საცხოვრებლად, მერე სიღნაღში, სადაც სულ ერთი წელი ვიყავით, 1999 წელს დედოფლისწყაროში დაინიშნა მოძღვრად და, აგერ, 20 წელია, აქ ვართ. დედოფლისწყარო და აქაური მოსახლეობა ჩვენთვის ძალიან ძვირფასია, კარგად შევეწყეთ, მადლობა ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში მხარში დაგვიდგა, რადგან ბევრი სირთულის გადალახვა მოგვიწია. პირველი შვილი, იოვანე თვეებისა იყო, როდესაც აქ დავსახლდით. მას მოჰყვნენ ანტონი, ნინო, სალომე, თებრონია და თომა. იოვანე და ანტონი უკვე სტუდენტები ერიან, დანარჩენები სკოლაში სწავლობენ. როგორც მეუღლე, მამა ნიკოლოზი, ახერხებს და უთავსებს ერთმანეთს მღვდელმსახურისა და ოჯახის უფროსის პოზიციებს. ძირითადად, მასზეა ოჯახის მომარაგება, ბაზარი, ბავშვების გაზრდაშიც, შეძლებისდაგვარად, მხარში მედგა. საერთოდ, უკომფლიქტო ადამიანია და რთული სიტუაციიდანაც მშვიდად ახერხებს გამოსავლის პოვნას. მადლობა ღმერთს, რომ მასთან ერთად მერგო საოჯახო უღელის ტარება. ვულოცავ დაბადების დღეს და ვისურვებდი, კვლავაც დიდხანს, ღრმა სიბერემდე ვიდგეთ ერთმანეთის გვერდზე.

ნინო ლომსაძე – მამა ძალიან დაკავებულია თავისი სამსახურებრივი საქმიანობით, მაგრამ პოულობს დროს ჩვენთვის, შვილებისთვის. ის ძალიან თბილი, ალერსიანი და სამართლიანია. არ არის მკაცრი, მაგრამ მომთხოვნია სწავლასთან მიმართებაში. როცა საჭიროა, მშობელთა კრებაზეც ახერხებს მოსვლას სკოლაში. თითქმის არ ერევა ჩვენს ჩაცმულობასა და ვიზუალურ მხარეში, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენც არ გვიყვარს გამომწვევად და არაეთიკურად ჩაცმა და ქცევა. ყველას ძალიან გვიყვარს და გვეიმედება. ჩემი და-ძმების სახელით ვულოცავ საიუბილეო თარიღს და უფალს ვთხოვ, არ მოგვიშალოს მისი თავი და მფარველობა.

ახლა მოვისმინოთ, როგორ აფასებენ მას მღვდელმსახურებაში და მრევლში.

მეუფე დიმიტრი – ოცდახუთ წელზე მეტი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს. ის არის სასულიერო პირი, რომელსაც ნებისმიერი სასულიერო დავალება შეიძლება ანდო და ზუსტად ისე შეასრულებს, როგორც დაავალებ. ჩვენი ურთიერთობა მრავალგზის გამოცდილია და მე მასში ვაფასებ უმაღლეს რანგში აყვანილ მეგობრობის უნარს. მან ყველაფერი, რა წოდებები და ტიტულებიც აქვს, თავისი უანგარო შრომით და ღვაწლით დაიმსახურა. მინდა, გამორჩეულად გავუსვა ხაზი მის ოჯახს, საუკეთესოდ აღზრდილ შვილებს. ვულოცავ და მრავალჟამიერ მის მსახურებას.

თეა სხირტლაძე – ის ღირსეული მოძღვარია, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძრის აშენებაში, მისი მოღვაწეობის შედეგია ის, რომ მრავალი ადამიანი დადის ტაძარში და არის აღმსარებელი და მაზიარებელი. ჩვენთან, დედაოებთან, ურთიერთობაში ის არის უაღრესად უშაუალო, გულწრფელი და ყურადღებიანი. კეთილი სურვილებით ვულოცავ დაბადების 50 წლისთავს და ვუსურვებ, დიდხანს იდგეს ჩვენი ხალხის სამსახურში.

მარინა ქორიძე – მამა ნიკოლოზი ღმერთისგან დალოცვილია თავისი უამრავი დადებითი თვისებით. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის სასულიერო პირია, არამედ ადამიანია, რომელსაც უანგაროდ უყვარს ყველა და ეხმარება მათ ნებისმიერ სიტუაციაში. თბილი, კეთილი, გონიერი და სანდოა ის თავისი მრევლისთვის. ორი ათეული წელია, ჩემი მოძღვარია და ვენდობი ისე, როგორც საკუთარ თავს, ნებისმიერი საიდუმლო შეიძლება გავუმხილო და მივიღო მისი გონივრული რჩევა. უზომოდ მიყვარს და ჩემი ოჯახის სახელით ვულოცავ დაბადების საიუბილეო 50 წლისთავს. იყოს ჯანმრთელი, ბედნიერი თავის დიდ ოჯახთან ერთად ჩვენს საიმედოდ.

ქეთევან წერეთელი-შიუკაშვილისა – მამა ნიკოლოზი – ადამიანი, რომელიც ჩვენი ოჯახის მოძღვარი და საიმედო მეგობარია. მახსენდება ჩვენი პირველი შეხვედრა პატარა სამლოცველო სახლში, მამა ნიკოლოზი ახალი მოსული იყო ჩვენს რაიონში, მაგრამ მრევლში სულ მალე დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მისმა საუბარმა და მას შემდეგ აღარც მოვცილებივარ ეკლესიას და მრევლს. შემდეგ ჩემი მეუღლეც მოვიდა ტაძარში, მალე სტიქაროსანიც გახდა, ჩემი შვილებიც აქ დაიზარდნენ, ჩემმა შვილმა – გიორგიმაც ჩაიცვა სტიქარი. ოც წელზე მეტი გავიდა, მამა ნიკოლოზი კი ისევ ისეთი შემართებით და სიყვარულით უძღვება მრევლს. არ მეგულება ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც უსაუბრია მამა ნიკოლოზთან და დამშვიდებული და სიყვარულით სავსე არ წამოსულა მისგან. იგი არის მოძღვარი, რომლის იმედი გაქვს ყოველთვის, დღის ნებისმიერ მონაკვეთში გამონახავს დროს, მოგისმენს, დაგარიგებს და დაგამშვიდებს. მე და ჩემი ოჯახი ვულოცავთ მამა ნიკოლოზს დაბადების დღეს. მამაო, სულ ასეთი მომღიმარს და სითბოთი სავსეს გხედავდეთ ჩვენი მრევლის საიმედოდ, გვიყვარხარ და გვეიმედებით.

ნათელა ხაჩიაშვილი-ბატიაშვილისა – წუთისოფელში ადამიანებს მწუხარება და განსაცდელები არ გვაკლია. ამით უფალი თავს გვახსენებს და გვეხმარება მისკენ სავალ გზაზე.

ჩემი განსაცდელები პირველი შვილის დაბადებასთან ერთად დაიწყო. მადლობა ღმერთს, რომ ამ განსაცდელებთან გამკლავებაში მარტო არ დამტოვა და მამა ნიკოლოზს შემახვედრა. მან გიორგის ეკლესიაში მიყვანა მირჩია და გაოცებულს მშვიდად და დამაჯერებლად ამიხსნა, რატომ და როგორ უნდა გამეკეთებინა ეს.

მამა ნიკოლოზის უდიდესი დამსახურებაა, რომ გიორგი დღეს ასე მშვიდად ესწრება წირვა-ლოცვას, აბარებს აღსარებას და ეზიარება, ფიზიკურ სისუსტეებს და ცხოვრების სირთულეებს სულიერი სიძლიერით უმკლავდება.

ჩვენს საყვარელ მამა ნიკოლოზს, ჩვენს მადლიან მოძრვარს უდიდესი პარტივისცემით და სიყვარულით ვულოცავთ იუბილეს, ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს, მის ლამაზ ოჯახს ასმაგად დაუბრუნოს ის სიკეთე და მადლი, რასაც ასე უხვად გასცემს სხვებისთვის.

გიორგი კიკილაშვილი – არიან ადამიანები, რომლებიც ამ სამყაროს გილამაზებენ, ზოგიც განათლებას გაძლევს, ზოგი ამასოფლის ორომტრიალში გზის გაკვლევაში გეხმარება. მამა ნიკოლოზი კი ის ადამიანია, ვინც მე და ამ რაიონში (დღევანდელი მუნიციპალიტეტი) მცხოვრები ბევრი ადამიანი მართლმადიდებლურ რწმენაში განგვამტკიცა. ძალიან ბევრის თქმა შეიძლება მამა ნიკოლოზის ღვაწლზე. ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ მოძღვრის თვითოელი კეთილი საქმე ჩემს ცნობიერებაში აღიბეჭდა როგოც არა მოთხრობილი, არა წაკითხული, არა გაგონილი, არამედ ხილული და ხელთშესახები მოვლენა. როდესაც სხვადასხვა შეკრებაზე, მამა ნიკოლოზის თანდასწრებით აზრი გამომითქვამს მისი ღვაწლის შესახებ, ყოველთვის მისთვის ჩვეული თავმდაბლობით შემწინააღმდეგებია, მაგრამ შენდობას ვითხოვ და კადნიერებაში ნუ ჩამომართმევს მკითხველი, თუ ვიტყვი, რომ მამა ნიკოლოზის საქმიანობა ჩვენს მუნიციპალიტეტში შეიძლება შეადარო ასურელ მამათა ღვაწლს, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში მბჟუტავი ქრისტიანული სინათლე გააცისკროვნეს, ერი რწმენაში განამტკიცეს, მოსახლეობას ღირებულებათა ქრისტოცენტრული მოდელი შეაყვარეს, გაამთლიანეს და გააძლიერეს ქართული ეროვნული სული... დიახ, მამა ნიკოლოზმა შეძლო რწმენისა და რჯულის ერთგულებით, პირადი ცხოვრების წესით ხელმეორედ მოექცია ის საზოგადოება, რომელიც 70 წლის განმავლობაში ათეისტური იდეებით იყო დატვირთული, საზოგადოება, ვისთვისაც სასულიერო პირი და ეკლესიურობა დამცინავ მცნებად მიაჩნდა, საზოგადოება, სადაც ქრისტიანობას, ყველაზე კარგ შემთხვევაში, ჩვენი წინაპრების ერთგულების სიმბოლოდ მიიჩნევდა და მეტი არაფერი... ჩვენს მუნიციპალიტეტში მამა ნიკოლოზის მოღვაწეობის ნაყოფია ჩვენი ეპარქიის საკათედრო ტაძრის არსებობა, წმინდა ელიის მთაზე ტაძრის აღდგენა და სხვა უამრავი ყველასთვის ცნობილი მოვლენები და ამის შესახებ ჩვენმა მოქალაქეებმა კარგად იციან. მკითხველს კი ახლა მინდა ერთი საინტერესო და მათთვის უცნობი „შემთხვევის“ შესახებ მოვუყვე: 2018 წლის მაისის თვეში მამა ნიკოლოზთან ერთად გავემგზავრე ლეჩხუმში, სოფელ ლაილაშში, სადაც 1982-1983 წლებში ვმუშაობდი სოფლის ამბულატორიის გამგედ. ლეჩხუმის სიწმინდეებთან ერთად გზად მოვილოცავდით რაჭისა და იმერეთის წმინდა ადგილებს. დილით ადრე გავედით და თბილისში მიმავალ გზაზე მამა ნიკოლოზმა აღმოაჩინა, რომ სკვნილი სახლში დარჩენოდა. ლეჩხუმიდან იმერეთის გზაზეც გაახსენდა, რომ სკვნილი არ ჰქონდა და გარკვეულ წილად განიცდიდა. გელათში სიწმინდეები მოვილოცეთ, მონასტრის ეზოდან გარეთ გამოვედით და მანქანისაკენ დავიძარით. უცებ ქუჩაზე განლაგებული ერთერთი ჯიხურიდან გამყიდველი ქალბატონი გამოეგება მამაოს და იმერული კილოთი ეუბნება: მომიტევე, მამაო, მცირედი საჩუქრისათვის, მაგრამ ძალიან მინდა, ეს სკვნილი გაჩუქოთო. მამა ნიკოლოზმა მღვდელმსახურისათვის ჩვეული თავმდაბლობით მიიღო ეს შეთავაზება, ქალბატონი დალოცა და გზა გავაგრძელეთ. ვერ გეტყვით, რა ხდებოდა მამა ნიკოლოზის გულში, მაგრამ მე გაოგნებული ვიყავი, სოფელ ფარცხანაყანებამდე ისე ჩავედით, ხმა არ ამომიღია. მთელი გზა იმას ვფიქრობდი, რა მოხდა? ერთი იყო ცხადი: ღვთისგან ამგვარი შეწევნა მამა ნიკოლოზის სულიერი განვითარებით იყო განპირობებული, მაგრამ ეს სასწაული მეც რომ მანახა უფალმა, აი, ამის ახსნას ვერ ვახერხებდი... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ მამა ნიკოლოზის სახით ჩვენ გვყავს არა მხოლოდ საეკლესიო მღვდელმსახური, არამედ ჭეშმარიტად სულიერი მოძღვარი!

ბელა გოგიბერიძე – მამა ნიკოლოზს პირველად საავადმყოფოში შევხვდი, როგორც პაციენტს. მისმა უბრალოებამ და თავმდაბლობამ მომხიბლა. მას მერე ჩვენი ურთიერთობა ეკლესიაში, უფრო სწორად, სამლოცველო სახლში გაგრძელდა და ისე განმტკიცდა, რომ დღეს მის გარეშე ძალიან გამიჭირდება. ის არის პიროვნება, რომელსაც ყოველთვის მივმართავ, როგორც საიმედო ადამიანს და მოძღვარს. შემიძლია ვუთხრა ყველაფერი, ისიც, რასაც მხოლოდ საკუთარ თავს თუ გამოვუტყდები. მისი გონივრული რჩევები მეხმარება ყველა გასაჭირის გადალახვაში. თბილი, ყურადღებიანი, მზრუნველი, მას შეგიძლია მიმართო დღე-ღამის ნებისმიერ დროს და ყოველთვის მზად არის დასახმარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ასაკით შვილად მერგება, ისეთი ბრძნული საუბრები აქვს, ხანდახან ჩემზე უფროსი მგონია. ადამიანების სიყვარულის დიდი უნარით არის დაჯილდოვებული და სამაგიერო სიყვარულსაც იმსახურებს. მრევლში ის გამორჩეული პატივისცემით სარგებლობს. მახსოვს, როდესაც ის სამთაწყაროში გადაიყვანეს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ უკმაყოფილებას არ გამოხატავდა და ამბობდა, რომ ის იმ დაძაბულ სიტუაციაში სწორედ სამთაწყაროელებს სჭირდებოდა, აქაური მრევლი მაინც უკმაყოფილო დარჩა, მის დაბრუნებას ითხოვდა, ზოგიერთი აღსარებისთვის თუ რჩევისთვის სამთაწყაროსა და სახლში აკითხავდა. აი, ასე შეაყვარა მან თავი მრევლს, რომლის მოქცევა სწორედ მისი დამსახურებაა. ვულოცავ იუბილეს და ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ მას და მის დიდ ოჯახს.

მამა ნიკოლოზ, დედოფლისწყაროს მართლმადიდებლური მრევლის და მთელი მოსახლეობის სახელით გილოცავთ დაბადების 50 წლისთავს. იცოცხლეთ და იხარეთ.

ნაირა გორაშვილი

დედათა მონასტერი რომ გაძლიერდეს!

ღვთის ჯარისკაცები თუ მესაზღვრეები?!

ისინი ოთხნი არიან. ახალგაზრდა, შავებში ჩაცმული ქალბატონები. მათ გამოჩენას სოფელი უცნაურად შეხვდა. ვერ გაეგოთ, რა უნდოდა ოთხ ახალგაზრდა ქალს სოფლის სახლში. სახლთან „ბირჟა“ გამართეს. იკრიბებოდნენ ცნობისმოყვარე ახალგაზრდები. მათთან ერთად ხანდაზმულნიც... ცოტა ხანში ცნობისმოყვარეობა და ინტერესი მოკრძალებამ შეცვალა. სახლთან, რომელიც სერაფიმე საროველის სახელობის ეკლესიას ესაზღვრება, მშენებლობა დაიწყო. როგორც გაირკვა, აქ კელიებს აშენებდნენ – მონაზვნების მომავალ საცხოვრისს, სადაც დედათა სამონასტრო კომპლექსი განთავსდება მომავალში.

„ბირჟის“ დისლოკაციის ადგილი შეიცვალა,მაგრამ დამოკიდებულება არა - სურვილი, რომ კელიების მშენებლობაში მრევლმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს, ჯერ ბევრს არ გასჩენია. „უკვე მესამე წელია, მშენებარე კელიების მხოლოდ საძირკველია ჩასხმული. სპონსორს, რომელმაც მათი მშენებლობა დაიწყო, ფინანსური პრობლემის გამო მისი გაგრძელება დროებით არ შეუძლია. ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ სახლს მივაშენოთ კელიები. ვგეგმავთ, გვერდით დიდი სატრაპეზო გავაკეთოთ. მერე, თუ იქ გაგრძელდა მშენებლობა, გადავალთ“-აცხადებს ჩვენთან საუბრისას დედა სერაფიმა, რომელიც დედათა მონასტრის წინამძღვარია.

დედა სერაფიმა, მეოცე წელია, სამონასტრო ცხოვრებით ცხოვრობს. ეკლესიაში წასვლის გადაწყვეტილება ძალიან ახალგაზრდამ მიიღო. როგორც თავად იხსენებს, ჯერ ისევ სტუდენტი იყო, როცა მონასტერში წასვლა მოინდომა, მაგრამ მოძღვარმა ურჩია, რომ სჯობდა, თუკი ინსტიტუტს დაამთავრებდა. მის რჩევას მიჰყვა, მაგრამ ბოლო სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებისთანავე წავიდა მონასტერში. მისთვის სტუდენტობა და საერო ცხოვრება ერთად დასრულდა...

მას შემდეგ იქ არის, სადაც დედა ეკლესიას სჭირდება. ჯერ მესხეთში, ადიგენის რაიონში მოღვაწეობდა. იხსენებს, რომ დედათა მონასტრისა და მონაზვნების მიმართ დამოკიდებულება ამ კუთხეში უცნაური იყო, მრევლს ვერ გაეგო, რა უნდოდათ მონაზვნებს იქ... მერე შეეჩვივნენ, მათი მოღვაწეობის არსსაც ჩასწვდნენ და თანადგომაც ისწავლეს... მას შემდეგ კი, რაც მისი ძმა (მეუფე დიმიტრი კაპანაძე) ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხეს, მისმა ეპისკოპოსმა უთხრა, რომ ამ ეპარქიაში მონაზვნები არ იყვნენ და ამიტომ, აქ უნდა წამოსულიყო...

დედა სერაფიმა თვლის, რომ ისინი „ღვთის ჯარისკაცები“ არიან, მე კი დავამატებდი, რომ თანამედროვე მესაზღვრეებიც. დედა სერაფიმა ღიმილით ამბობს, რომ ისინი საზღვრებს დაჰყვებიან: „იქ თურქეთის საზღვარზე ვიყავით, აქ – აზერბაიჯანის საზღვართან ვართ“...

მასთან ერთად დაჰყვება საქართველოს საზღვრებს მონაზონი დედა ეკატერინა, ხოლო ორი მორჩილი ახლად შეძენილი დებია: მორჩილი ნინო და მორჩილი ნანა. ისინი, ძირითადად, ხელსაქმით ირჩენენ თავს. მათ ე.წ. „სახელოსნოში“ ნახავთ ორიგინალურ სამკაულებს, ჩანთებს, სხვადასახვა აქსესუარს... აბარებენ მაღაზიებში, იღებენ შეკვეთებსაც. ეს იმისთვის, რომ იარსებონ...

არსებობისთვის ბოსტანსაც ამუშავებენ. ეზოში უამრავი ხეხილის ხეა, რომელიც ჩრდილს ქმნის. ამიტომ, აქ, ძირითადად, მწვანილს თესავენ. შარშან კარტოფილიც დათესეს, მაგრამ იმავე რაოდენობის მოსავალი მიიღეს, რაც დათესეს, თან გაცილებით წვრილი... ამიტომ კარტოფილის მოყვანას აღარ გეგმავენ. სამაგიეროდ, გაამართლა სხვა ბოსტნეულმა:“ კიტრის და პომიდვრის მოსავალს არ ვემდურით, მარწყვიც მოვაშენეთ“-ამბობენ დედაოები, რომლებიც ამქვეყნიური ცხოვრებისგან განდგომილები, სოფელში სიმშვიდეს, სიკეთესა და შრომისმოყვარეობის მაგალითებს თესავენ...

ორ პატარა ოთახში ცხოვრობენ, სადაც სახელოსნოცაა განთავსებული, მაგრამ ძალიან უხარიათ, თუკი სტუმარი მივა მათთან. ამბობენ, რომ სივიწროვის მიუხედავად, ახალ წევრსაც სიამოვნებით მიიღებენ... მათთან ყოფნისას ყოველგვარი მატერიალური იცრიცება...

მერე რა, თუკი ვიწროდ არიან... აქ იშვიათი სითბოა, დადებითი აურა, რომელიც იქ ყოფნისას ამქვეყნიურ პრობლემებს გავიწყებს და კიდევ ერთხელ დაგაფიქრებს ურთიერთთანადგომის, სიკეთის, სიყვარულის დეფიციტზე, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით...

თუმცა, მონასტრული ცხოვრება რომ აეწყოს, კელიების მშენებლობა უნდა განახლდეს. ამას კი ფინანსები სჭირდება. მოციქულების დროიდან ასე იყო: მონასტერს არჩენდა მრევლი. დედოფლისწყაროში ამისი მაგალითები არსებობს – სწორედ მრევლის თანადგომითა და მონაწილეობით აშენდა ჯერ ქალაქ დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, შემდეგ კი - ელიის მთაზე ეკლესია და მამათა მონასტრის კელიები. ახლა დედათა მონასტრის კელიების აშენების დროა!

ინგა შიოლაშვილი

„დღეს სასკოლო საზოგადოება ახალი რეფორმებისა და გამოწვევების მოლოდინშია“

სკოლა წარმოადგენს საზოგადო და პირადი ინსტიტუტების გაერთიანებას, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, პირად და საზოგადო ინტერესთა ერთობლიობას. განსაზღვრულ შემთხვევებში სკოლა უფრო დიდ როლს ასრულებს პიროვნების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, ვიდრე ოჯახი. ასევე, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში, ბავშვებთან ურთიერთობაში სკოლას უფრო საპასუხისმგებლო როლი აკისრია, ვიდრე ოჯახს,მასწავლებელი ასრულებს ავტორიტარულ როლს განათლების პროცესში მხოლოდ იმისთვის, რომ მოსწავლეებს ასწავლოს ის, რაც თავად იცის.

დღეს ჩვენს მკითხველს **მეორე საჯარო სკოლის ცხოვრების თაობაზე, აქ მიმდინარე პროცესების გასაცნობად სკოლის დირექტორთან, ლალი იაკობიშვილთან ინტერვიუს ვთავაზობთ.**

— ქალბატონო ლალი, გვიამბეთ თქვენი სკოლის ცხოვრებაზე,რა კეთდება და ხორციელდება საგაკვეთილო პროცესების გარდა, რა პროექტებზე მუშაობთ მოსწავლეებთან ერთად, როგორ მიმდინარეობს კათედრების საქმიანობა, როგორ ახერხებთ მშობლებთან და ემიგრანტ მშობლებთან კონტაქტების დამყარებას, კლასის საათი, ფსიქოლოგის საათი ტარდება თუ არა და ზოგადად, ყველა ასპექტში გვაინტერესებს, როგორ ახერხებთ ამ რთული და საპასუხისმგებლო საქმის მართვას, რომელიც საკმაოდ კარგად გამოგდით?

— დიახ, სკოლას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრია მოზარდის სრულფასოვან მოქალაქედ და პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ამაზე საზოგადოება, დიდი ხანია, შეთანხმდა. დღეს სასკოლო საზოგადოება ახალი რეფორმებისა და გამოწვევების მოლოდინშია. იმედი მაქვს, ყველა სიახლე, რაც რეფორმის ფარგლებშია დაგეგმილი, დადებითად აისახება მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებასა და მის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესზე.

დღეს მინდა გესაუბროთ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაზე, იმაზე, თუ რა გამოგვდის კარგად და რა არის სკოლის ძლიერი მხარე.

პირველი, რასაც გამოვყოფდი, რაც ერთი შეხედვითაც შესამჩნევია, ეს არის სკოლის კულტურა. კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო, მოსწავლეს აქვს შეგრძნება, რომ სრულად შეუძლია გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, განსხვავებულობა, ნიჭი, რომელიც სხვადასხვა სახით ყველა ბავშვშია. ასეთი გარემო ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა, რომელშიც ჩართულნი არიან მასწავლებლები, დირექცია, მოსწავლეები, მანდატურები, მშობლები.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას. სკოლის გამოცდილება მშობელთა ჩართულობის კუთხით საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანია. დაწყებული მშობელთა გაფრთხილებით, თითოეულ გაცდენასა თუ დაგვიანებაზე, დამთავრებული ღონისძიებებით. მშობლები არ არიან პასიური მაყურებლები. ისინი შვილებთან ერთად იღებენ მონაწილეობას მხიარულ სტარტებში. ერთად მღერიან და ასრულებენ სხვადასხვა აქტივობებს. არ დამავიწყდება ერთ-ერთი მოსწავლის აღფრთოვანებული თვალები, როდესაც ღონისძიებაში ინტერნეტით მშობელი ჩართო კლასის დამრიგებელმა. სკოლაში გავრცელებული პრაქტიკაა ემიგრანტ მშობლებთან ინტერნეტის საშუალებით ურთიერთობა და პრობლემების მოგვარება.

ამგვარი ინიციატივები სასკოლო ცხოვრებაში ბევრი გვხვდება. მშობლების ინფორმირებულობისთვის აქტიურად ვიყენებთ სკოლის სოციალურ გვერდს, სადაც ყველა სიახლე, ინიციატივა, ჩატარებული ღონისძიება ოპერატიულად შუქდება.

მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენლები: ბოშები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. 2018 წელს სწორედ ბოშა მოსწავლეები, სხვა თანატოლებთან ერთად, მონაწილეობდნენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროექტში ,,ბოშა მოსწავლეების სოციალური ინტეგრაცია და ხელგარჯილობის უნარის განვითარება“. ამ პროექტის ფარგლებში ბოშა მოსწავლეებმა, მოხალისე თანატოლებთან ერთად, იმუშავეს ხელგარჯილობისა და თეატრის კლუბში. წარმოდგენამ „ბოშები“ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

სკოლა წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კუთხით. თითოეული სსსმ ბავშვი არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, იღებს განათლებას მისი შესაძლებლობისა და საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლა ამზადებთ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და უვითარებს უნარ-ჩვევებს, რათა შეძლონ პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლის წარმატება, რომელიც მე-5 წელია, სწავლობს ჩვენს სკოლაში. დიდია თითოეული თანამშრომლის როლი მისი განვითარების პროცესში. ვამაყობთ ლანას წარმატებით.

სკოლაში აქტიურად ვეცნობით ყველა სიახლეს, ყველა პროექტს, რომელსაც გეგმავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. მოსწავლეები შეაძლებლობის ფარგლებში ერთვებიან მასში.

მასწავლებლებისთვის უდიდესი სტიმულის მომცემია ლადო აფხაზავა, ასეთი მაგალითები და სამინისტროს მიერ დაანონსებული რეფორმები იმედს გვაძლევს, რომ მასწავლებლები და დირექცია მეტად იზრუნებს სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებაზე.

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

გაზაფხული, ქალები და ძალადობა

— ქალის დაჭრის ბრალდებით ყოფილი ქმარი დააკავეს...

— შვილების თანდასწრებით ცოლის ცემაში ბრალდებულს პატიმრობა მიესაჯა...

— ეჭვიანობის ნიადაგზე ქმარი ცოლს დაეჯახა და მოკლა...

— ქმრის ნათესავებმა რძალი სცემეს და ა.შ.

ეს იმ შემთხვევების მცირე ჩამონათვალია, რაც წლების განმავლობაში ჩვენს საზოგადოებაში მომხდარა, თუ ჯერ კიდევ ხდება. ამ სიის ფონზე, ფანჯრებს მიღმა გაზაფხული, ასე თუ ისე, დადგა, მაგრამ სიას ვერაფერი ცვლის. ფაქტი ჯიუტია. ქალთა დღესასწაულები უკვე ჩავლილია. ჩავლილია დღეები, როდესაც ქალბატონები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ და ნებივრდებიან კიდეც. მაგრამ... ყოველთვის არსებობს ერთი მაგრამ, რომლის წინ ნათქვამსაც მისი თქმისთანავე ეკარგება მნიშვნელობა...

იმის მტკიცების მიუხედავად, რომ ქალებს საქართველოში გამორჩეული ადგილი უჭირავთ, რეალობა განსხვავებულია – ისინი მუდმივად განიცდიან სხვადასხვა სახის ძალადობას. რა იგულისხმება ქალთა მიმართ ძალადობაში? ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას გულისხმობს, რომელსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

2018 წელს გამოქვეყნდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ახალი ეროვნული კვლევის შედეგები, რომელიც მაინც და მაინც სახარბიელო არ იყო. კვლევა გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა და ევროკავშირმა ერთობლივად ჩაატარეს პროექტის — „ერთად დავძლიოთ ქალთა მიმართ ძალადობა“ ფარგლებში.

კვლევის შედეგად, 2009 წლის შემდეგ, ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებისა და ამ პრობლემის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების შესახებ ეროვნული მასშტაბის სარწმუნო მონაცემების მოპოვება, პირველად მოხდა. ამას გარდა, კვლევამ საქართველოში სექსუალური შევიწროებისა და ადევნების გავრცელება პირველად შეისწავლა.

ეროვნული კვლევის პროცესი 2017 წელს მიმდინარეობდა. ის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდოლოგიებს აერთიანებდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით 15-64 წლის სულ 6,006 ქალი და 15-64 წლის 1,601 კაცი გამოიკითხა. ხარისხობრივი კვლევა კი 47 შეხვედრას მოიცავდა.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევის მიხედვით, საქართველოში 7-დან ერთ ქალს გამოუცდია ოჯახში ძალადობა, ქალების 9% სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვობაში გამხდარა, 5-დან ერთი ქალი ამბობს, რომ სექსუალური შევიწროება გამოუცდია. გარდა ამისა, 15000-მდე ქალი მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ორსულობის პერიოდში გამხდარა. ქალების 6%-ს ფიზიკური ძალადობა, 13%-ს ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა ოჯახს გარეთ ქალების 26%-ს, 2.7%-ს სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან განუცდია, ადევნება კი- 42400 ქალს. კვლევის თანახმად ასევე დადგინდა, რომ საქართველოში ქალების 22%-სა და კაცების 31%-სთვის ცოლის ცემა მისაღებია. მამაკაცების 42% მიაჩნია, რომ ცოლი ქმარს უნდა დაემორჩილოს მაშინაც კი, როცა მას არ ეთანხმება, ხოლო გამოკითხულ მამაკაცთა 50%-ს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახის საქმეა და მასში არავინ უნდა ჩაერიოს. იმ ქალებს შორის, რომლებსაც მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა განუცდია, პოლიციისთვის მხოლოდ 18%-ს მიუმართავს. ქალების 36%-ს კი განცდილ ძალადობასთან დაკავშირებით არავისთან უსაუბრია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ქალებისა და კაცებისთვის ქალთა მიმართ ძალადობა დიდწილად კვლავაც მისაღებია. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოების ცნობიერება ჯერ კიდევ შესაცვლელია. შესაცვლელია მიდგომები და პრობლემის აღმოფხვრის გზებიც.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი, რომლის შედეგებიც 25 მარტს გამოქვეყნდა. აუდიტის პერიოდი მოიცავს 2015 წლიდან 2018 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით პერიოდს. აუდიტის ფარგლებში შესწავლილი იყო: ძალადობის შემთხვევებზე პოლიციის რეაგირება და სოციალური მუშაკის ჩართულობა, დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ცნობიერების დონესთან დაკავშირებული საკითხები, რომლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები: აუდიტის ანგარიშში ნათქვამია, რომ აუდიტის პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროში ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რისკის სისტემური შეფასების მექანიზმი არ იყო დანერგილი. შესაბამისად, შემაკავებელი ორდერის გამოცემა და რეაგირების ღონისძიების განსაზღვრა პოლიციის მიერ ხდებოდა ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც რიგ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა ძალადობის ფაქტებზე თანაბარზომიერ და თანმიმდევრულ რეაგირებას. აუდიტმა აჩვენა, რომ ძალადობის ინციდენტში მონაწილე პირთა საცხოვრებლიდან განცალკევების სამოქმედო ინსტრუქცია სამინისტროში შემუშავებული არ არის, რაც ვერ ქმნის მსხვერპლის ინტერესების სათანადოდ გათვალისწინების საფუძველს. ასევე, ანგარიშში ვკითხულობთ, რომ სოციალური მუშაკების არასაკმარისი რაოდენობა და მათი შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ძალადობის შემთხვევებში – მათ არასათანადო ჩართულობას განაპირობებს. სოციალური მუშაკები არ მუშაობენ დასვენების დღეებში, შაბათ/კვირას და არასამუშაო საათებში, მათი უფლება-მოვალეობები არაპროპორციულია მათ რაოდენობასთან შედარებით. სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვა დაახლოებით 6-ჯერ აღემატება თვეში რეკომენდებულ საქმეთა რაოდენობას. აღნიშნულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს: ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მორეაგირე პოლიციელებისთვის საჭირო ინფორმაციაზე (ძალადობის წინა ისტორია და სხვ.) ხელმისაწვდომობა, რაც შედეგად, რისკის სწორად შეფასებით, ხელს შეუწყობს მსხვერპლის დაცულობის ხარისხის გაზრდას და სამართალდარღვევაზე შესაფერისი საპასუხო ღონისძიების განსაზღვრას; სათანადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში როგორც დამცავი, ისე შემაკავებელი ორდერების აღრიცხვა, რაც შექმნის სამართალდარღვევებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების ნინაპირობას.

ოჯახში ძალადობის შემთხვევების ადრეული იდენტიფიცირების ხელშენყობის მიზნით, უწყებათაშორისმა კომისიამ შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვანია, შეიმუშაოს და დანერგოს ძალადობის ადრეული გამოვლენის მექანიზმები (მაგალითად, ბავშვების სავალდებულო სამედიცინო შემოწმების, სკრინინგის პროგრამის და ა. შ. ფარგლებში).

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს: სოციალური მუშაკის არასამუშაო საათებში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტომ მიზანშეწონილია, დანერგოს სოციალური მუშაკების მორიგეობის მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს დასვენების დღეებში, შაბათ-კვირას და არასამუშაო საათებში ძალადობის გადაუდებელ შემთხვევებზე შეუფერხებელ რეაგირებას.

ამ რეკომენდაციების ფონზე გაზაფხულის ხიბლი იკრიცება, როცა უბედური შემთვევების რიცხვი არ იკლებს. ფაქტები ჯიუტად მეტყველებენ, რომ ქალი საქართველოში სულაც არაა თაყვანისცემისა და სიყვარულის ობიექტი.

ქალთა დღესასწაულები უკვე ჩავლილია. ჩავლილია დღეები, როდესაც ქალბატონები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ და ნებიერადაც გრძნობენ თავს. მაგრამ... ყოველთვის არსებობს ერთი მაგრამ, რომლის წინ ნათქვამსაც მაშინვე ეკარგება მნიშვნელობა...

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

სოციალური მუშაკები სისტემური ცვლილებებისთვის

25 მარტს ქვეყნის მასშტაბით სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული ყველა სოციალური მუშაკი გაიფიცა. ისინი სოციალური პოლიტიკის გადახედვას, ხელფასების მატებას, შრომითი პირობების გაუმჯობესებას და ბენეფიციარებისთვის ეფექტიანი და მყისიერი მომსახურების შექმნას ითხოვენ. გაფიცვა ერთდროულად ყველა რეგიონში დაიწყო. სოციალურ მუშაკთა

ასოციაციის განცხადებაში წერია, რომ სწორედ ახლაა ის მომენტი, როდესაც მათს პროფესიას დაცვა და გაძლიერება სჭირდება, რაც მთავარია, ერთიანობა! ეს ყოველივე კი იმისთვის, რათა შეძლონ რეფორმების მესვეურთათვის იმის ჩვენება, რომ ბავშვთა ზრუნვის სფეროს და იქ დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს ბენეფიციარებისთვის უკეთესი მომსახურების შეთავაზებისთვის მათი მხარდაჭერა და პრობლემების ადექვატური აღქმა და რეაგირება სჭირდება. სოციალური მუშაკები იყენებენ გაფიცვის კონსტიტუციურ უფლებას, რომელიც მედიაციის წარუმატებელი პროცესის შედეგად მოიპოვეს.

სოციალურმა მუშაკებმა გაფიცვის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს 21 მარტს აცნობეს, რასაც წინ თვენახევრიანი უშედეგო მედიაცია უძღოდა. მედიაციის პროცესი სოციალურ მუშაკებსა და სამინისტროს შორის თებერვალში დაიწყო. მეურვეობისა და მზრუნველობის სისტემის ძირეული რეფორმის მოთხოვნით სოციალურმა მუშაკებმა პეტიცია შექმნეს. პეტიციით ისინი ჯანდაცვის სამინისტროს,პარლამენტსა და მთავრობას მიმართავენ. სოციალური მუშაკები ამბობენ, რომ წლების წინ ბავშვთა ზრუნვის სისტემის წარმატებით დაწყებული რეფორმა ვეღარ ფუნქციონირებს და ბავშვთა ინტერესებს მორგებული აღარაა.

სოციალურ მუშაკებს სოლიდარობას უცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. „ჩვენ იძულებულები გავხდით, რომ დაგვწყო სოციალური აქტივიზმი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოვითხოვოთ ის უფლებები, რაც, ზოგადად, ამ პროფესიის წარმომადგენლებს აქვთ. მოვითხოვთ იმას, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ უკეთესად გააცნობიეროს ის, თუ რა როლი აქვს სოციალურ მუშაობას და ამის შესაბამისად დაგეგმოს რეალური ცვლილებები,“-განაცხადა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარემ შორენა საძაგლიშვილმა.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„ახალგაზრდული იდეა“ — გზა ცვლილებებისა და განვითარებისაკენ

ევროპის ფონდის „ახალგაზრდული იდეის“ პროგრამა მიზნად ისახავს 16-დან 21 წლამდე ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას, მათში ლიდერობისა და თანამედროვე ცხოვრებისათვის სხვა საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ეს პროგრამა არსებობის 10 წელს ითვლის. დედოფლისწყაროს „ახალგაზრდული იდეა“ წარმატებით შეუერთდა ამ წამოწყებას. რამდენიმე დღის წინ, ის პროექტები წარადგინეს, რომლებმაც დაფინანსება მიიღეს და იდეების განხორციელებას უმოკლეს ვადაში შეუდგებიან.

თეონა მახარაძე, მალხაზ ცალუღელაშვილი, თამარ ნატროშვილი და გიორგი ალადაშვილი – ეს ის ახალგაზრდები არიან, რომელთა პროექტებმაც მოწონება და დაფინანსება დაიმსახურეს.

ზურაბ გოგიშვილი, **„ახალგაზრდული იდეის“ ფინანსური მენეჯერი** – „ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, „ახალგაზრდული იდეის“ წარმომადგენლები ვატარებთ გამოკითხვას, რომელთა მეშვეობითაც ვარჩევთ პრიორიტეტებს- ამა თუ იმ პერიოდისთვის რა არის თემის პრობლემა. წელს ყველაზე პრობლემატური საკითხი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესი, კლასგარეშე აქტივობები და კულტურული ღონისძიებები. ყველა დაფინანსებული პროექტი ამ 3 პრობლემას ეხება“.

ახალგაზრდული იდეის კონცეფცია ეფუძნება დაშვებას, რომ ახალგაზრდების ჩართვა პროექტებში, რომელსაც თავად ქმნიან და რომლის განხორციელებასაც თავად უზრუნველყოფენ, საუკეთესო საშუალებაა მათ გასააქტიურებლად. შესაბამისად, გრანტის გაცემა არის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდები ხდებიან უფრო თავდაჯერებულები და იუმჯობესებენ ლიდერობის, ჯგუფური მუშაობის, ობიექტურად და გამჭვირვალედ გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის გზების ძიების, კომუნიკაციის, ფინანსური და პროგრამული ანგარიშგების მომზადებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზების უნარ-ჩვევებს. ახალგაზრდული იდეის უნიკალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ პროგრამის მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ, სრულიად დამოუკიდებლად, უფროსების ზედამხედველობის გარეშე, განახორციელონ ყველა აქტივობა.წლის განმავლობაში ახალგაზრდული იდეის კომიტეტების მიერ 110-მდე კონკრეტული ინიციატივა ფინანსდება. თითოეული ინიციატივის ღირებულება მერყეობს 500-800 ლარის ფარგლებში.2008-2018 წლებში პროგრამის ფარგლებში ტრენინგი 1050-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა, რომელთაც, თავის მხრივ, 9500-ზე მეტი მოხალისის (გოგონებისა და ბიჭების) მობილიზება და მათი ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების გადაჭრაში ჩართვა მოახდინეს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული იდეის მიერ დაფინანსებული პროექტებიდან 220-ზე მეტ შემთხვევაში საჯარო სკოლებმა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა პროექტებს დამატებითი ფინანსური მხადაჭერა გაუწიეს. გარდა ამისა, ახალგაზრდული იდეის წევრებმა საკუთარი, ადგილობრივი ხელისუფლებისა (49 შემთხვევა), თუ ბიზნესისგან (19 შემთხვევა) მიღებული მატერიალური თუ არამატერიალური რესურსებით 309 დამოუკიდებელი ინიციატივა განახორციელეს.

ღვინო – ქვეყნის პრიორიტეტი

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები უკვე მეხუთე წელია, მონაწილეობენ გამოფენაში, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველწლიურად ათასობით ღვინის მწარმოებელი და მილიონამდე ვიზიტორი ესწრება.

გასული წლების მსგავსად, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის გამოფენა წელსაც კონკრეტული შედეგების მომტანი აღმოჩნდა: გაფორმდა ახალი საექსპორტო ხელშეკრულებები, მოლაპარაკებები დაიწყო პოტენციურ იმპორტიორებთან. 22 მარტს გერმანიაში გამართულ გამოფენაზე გვესაუბრება **ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი** – ციცია მამულაშვილი, რომელიც თავად ესწრებოდა გამოფენას. ის ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ მონაწილეა ბოლო 6 წლის განმავლობაში 30 -ზე მეტი გამოფენისა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, სადაც ქართულ ღვინოს განსაკუთრებით აფასებენ და უცხოელთა აღფრთოვანების მეტი ამ ხნის განმავლობაში არაფერი უნახავს.

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენაში „ProWein-2019“ ქართული ღვინის მწარმოებელი 27 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენა „ProWein“ წლის მთავარი მოვლენა იყო ღვინის მწარმოებლებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. წელს გამოფენას მსოფლიოს 133 ქვეყნიდან 60 ათასამდე ღვინის პროფესიონალი და დაინტერესებული სტუმარი ეწვია, რაც კომპანიებისთვის ახალი კონტაქტებისა და იმპორტიორების მოძიების საუკეთესო შესაძლებლობაა. გამოფენაზე საკუთარი პროდუქცია 60-მდე ქვეყნის მეწარმეებმა წარადგინეს.

ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები გამოფენაში მონაწილეობენ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს ორგანიზებით. გამოფენას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა ესწრებოდა.

„პროვაინი მსოფლიოში ყველაზე დიდი გამოფენაა, რომელშიც საქართველო 2000 წლიდან მონაწილეობს. გამოფენის მასშტაბებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქართული კომპანიების მხრიდან ინტერესი მზარდია და წელს, საქართველო 27-მა კომპანიამ წარადგინა. ამით ჩვენ კიდევ უფრო ვამკვიდრებთ საქართველოს სახელს მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის რუკაზე. 2021 წლიდან იგეგმება „ProWein-ის“ გაფართოება და შესაბამისად, ჩვენც ვგეგმავთ, რომ საქართველო კიდევ უფრო მასშტაბურად იყოს წარმოდგენილი მასზე“ - აღნიშნა ლევან მეხუზლამ.

გამოფენას გერმანიაში საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი ელგუჯა ხოკრიშვილი დაესწრო.

გამოფენა “ProWein“ წელს იუბილარია - იგი ოცდამეხუთედ გაიმართა. საქართველო აღნიშნულ გამოფენაში 2000 წლიდან მონაწილეობს. თავდაპირველად, საქართველოდან გამოფენაში მონაწილეობას მხოლოდ 5 კომპანია იღებდა.

ამასთან ერთად, მსოფლიოს ერთ-ერთ პრესტიჟულ საერთაშორისო ღვინის კონკურსზე Mundus Vini, ერთდროულად ორმა ქართულმა ღვინომ უმაღლესი ჯილდო მოიპოვა და სპეციალური პრიზები Prowein-2019-ის ფარგლებში Munudus Vini-ს საზეიმო ცერემონიაზე გადაეცათ.

- „მეღვინეობა ვაზიანის“ 2016 წლის მოსავლის „რქაწითელი“ კონკურსის საუკეთესო ქართულ თეთრ ღვინოდ დასახელდა (Best of Show Georgia White).
- „მეღვინეობა ჩელთის“ ღვინო „საფერავი ქვევრი რეზერვი 2015“ საუკეთესო ქართულ წითელ ღვინოდ დასახელდა. (Best of Show Georgia Red).

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

ჭაჭუნას აღკვეთილში ბიომრავალფეროვნების აღდგენაზე 480 200 აშშ დოლარი დაიხარჯება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ და ორგანიზაციამ „საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის“ უკვე დაიწყეს „მდინარე ივრის ჭალის ტყეებისა და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენის პროექტის“ განხორციელება. პროექტის წარდგენა მულტიფუნქციურ სივრცე „ტერმინალში“ გაიმართა, რომელსაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ფანცულაია დაესწრო. პრეზენტაციას ჭაჭუნას აღკვეთილის დირექტორი აკაკი ტეტელოშვილი და დედოფლისწყაროს მერიის წარმომადგენელი ანა ბენაშვილი ესწრებოდნენ. შეხვედრაზე პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და სამომავლო აქტივობები განიხილეს.

პროექტის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებზე არსებული ლანდშაფტის ბიომრავალფეროვნების აღდგენის ხელშეწყობა და კონსერვაცია, რის შედეგადაც მოხდება ადგილობრივი ეკოლოგიური პროცესების, ჰაბიტატებისა და სახეობათა აღდგენა. როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოში აცხადებენ, პროექტი მხოლოდ დედოფლისწყაროს არ მოიცავს, ის მეზობელ მუნიციპალიტეტებსაც შეეხება, სადაც მდინარე ივრის ჭალებია.

„მდინარე ივრის ჭალის ტყეებისა და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენის პროექტი“ Cambridge Conservation Initiative-ის მხარდაჭერით, ლანდშაფტის აღდგენის საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, 480 200-ზე მეტი აშშ დოლარით არის დაფინანსებული და იგი დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ფონდ „საბუკოსა“ და „Birdlife International“-ის თანამშრომლობით განხორციელდება.

ტრაგედია მირზაანში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში 52 წლამდე მამაკაცი ტყეში ჩამომხრჩვალი ნახეს. ადგილობრივები მას რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ.

20 მარტს შუადღისას სოფელ მირზაანში ხარაშვილების საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა, სახლის მეპატრონე მარტოხელა მამაკაცს მას შემდეგ ვერ პოულობდნენ. სოფელში იმთავითვე ვრცელდებოდა ხმები, რომ შესაძლოა, ცეცხლი პატრონს თავად გაეჩინა. მომხდარის მიზეზად ოჯახური პრობლემები სახელდება, რის გამოც მამაკაცი ბოლო ხანს ხშირად სვამდა.

თვითმხილველების ნაწილი ირწმუნება, რომ ნივთების გადასარჩენად ალმოდებულ სახლში შესულ თანასოფლელებს შეშის ღუმელი ანთებული დახვდათ, რაც ადასტურებს, რომ პატრონი სახლში იმყოფებოდა. ზოგიერთი კი ამბობდა, რომ მამაკაცი სოფელში არ იყო და ცეცხლი დაკეტილ შენობაში გაჩნდა.

როგორც დედოფლისწყაროს სახანძრო სამაშველო სამსახურში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, შემთხვევის ადგილზე სამაშველო ჯგუფი დროულად გამოცხადდა და ცეცხლის ლიკვიდაცია ოპერატიულად შეძლო. მათი განმარტებით, საცხოვრებელში არასწორად იყო დამონტაჟებული ელექტროგაყვანილობა, ამიტომ, შესაძლოა, ხანძრის გამომწვევი მიზეზი მოკლე ჩართვა გამხდარიყო.

„მარტოხელა კაცია, რაც ოჯახი დაენგრა, მას შემდეგ სოფელში მარტო ცხოვრობს, ხშირად სვამს. შუადღისას ხმაური შემომესმა, გავიქეცით და სახლი იწვოდა. ერთსართულიანი ძველი სახლია ბელეტაჟზე, როგორც ჩანს, ცეცხლი სწრაფად გავრცელდა. სახანძრო ჩვენ გამოვიძახეთ და მეზობლები შეცვივდნენ და ნივთების გადასარჩენად ოთახიდან ბარგის გამოზიდვა დაიწყეს. ისინი ამბობენ, რომ სახლში შეშის ღუმელი ენთო და ნახევრად დაცლილი არყის ბოთლიც ნახეს. ამიტომ გავრცელდა სოფელში ხმები, რომ პატრონი ნასვამი იყო და ბოლო დღეს სახლში იმყოფებოდა. ზოგმა ისიც თქვა, შეიძლება ცეცხლი თვითონ გააჩინაო, “ – ამბობენ თვითმხილველები.

მომხდარზე მოკვლევას შს დედოფლისწყაროს პოლიციის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

მონატრება

გიორგი აბიათარი

ჩემო ერთადერთო თვალისჩინო,ძვირფასო შვილო, 11 წლის წინ 2008 წლის ომმა დაგვაშორა ერთმანეთს. შენ სამშობლოს სიყვარული არჩიე და უყოყმანოდ წახვედი მის დასაცავად. მაგრამ ვაი, რომ ეს წუთისოფელი დედა-შვილის სიყვარულით არ იზომება.

როგორ ელოდი ყოველ 5 აპრილს – შენს დაბადების დღეს. მეც ბედნიერი ვიყავი შენი სიხარულის გაზიარებით. ამბობდი, რომ წელიწადში სამი დაბადების დღე გქონდა, რადგან გიორგი გერქვა. განსაკუთრებულ პატივს სცემდი წმინდა გიორგის. ამიტომაც შეებრძოლე ასე გაბედულად სამშობლოს მტერს.

5 აპრილს 29 წლის გახდებოდი, შვილო. როგორ უსაშველოდ გაიწელა ეს წლები უშენოდ. ველოდები იმ დღეს, როდესაც უფალი შენთან ჩახუტების უფლებას მომცემს. დღეს კი რა დამრჩენია – მოვიდე შენს საფლავთან, დაგინთო სანთელი და ღმერთს შევავედრო შენთან შეხვედრა.

სულ მუდამ გენთოს სანთელი, ჩემო გმირო ვაჟკაცო!

შენი მონატრებული დედა **და** ახლობლები

ნინა ბუჩუკური

ძვირფასო დედა, 4 წელი შესრულდა შენი გარდაცვალებიდან. რაც დრო გადის, მენატრები ძალიან. ეს მონატრება კი უსასრულოა, მინდა მოგიძღვნა ლექსი.

7 აპრილი, ხარება დღე, დილა გათენდა.
შენ ვეღარ შეხვდი განთიადს
4 წელი შესრულდა, დედა
გულს დაღი მაზის
ცრემლი არ შრება თვალზე
ყოველი დღე მოგონრბად რჩება
გესაუბრები როგორც ცოცხალს
მინდა, შენი ხმა გავიგონო,
მინდა ნუგეშით ვიყო.
ხიზმარში გნახე, დედიკო,
კარებთან მოსულიყავი
შენმა ღიმილმა მე მომცა ძალა
ჩემო დედიკო მიყვარხარ მეტად
სანთელს ავანთებ დავილოცები
გზა გაგინათოს იმ ქვეყნიურ სასუფეველში.

ლუიზა ვარდიშვილი

მეუღლე ემზარი, შვილები: ანა, ზურა; დედამთილი ჟენია, მამამთილი ბიჭიკო, მაზლი რამაზ ბეჟაშვილები იუწყებიან

ქეთევან მელთაური-ბეჟაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 28 მარტს, 2 საათზე წეროვანში (დევნილთა დასახელება).

ნაირა, ციხელო, სპარტაკი, გულნარა, ანგელინა, ლეილა, მანანა და თამილა გორაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ჟენია ღორაშვილს და ბიჭიკო ბეჟაშვილს რძლის

ქეთევან მელთაურ-ბეჟაშვილის

გარდაცვალების გამო.

კლარა ოზაშვილი, გუგული, ალეკო, ლალი ალადაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მარინა კოხტაშვილ-ტოკლიკიშვილს ძმის

გელა ოზაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაირა გორაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს მარინა კოხტაშვილ-ტოკლიკიშვილს ძმის

გელა ოზაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილი ირაკლი, ძმა ფისო, რძალი მანანა, ძმიშვილები: ზურა, სოსო, მამიდა მარიკა, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

გია ხარაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს

ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო ფასი (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	ქ.დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.37.107	916კვ.მ.	3700	10%	5%	100

აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	ქირის წლიური საფასური (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
ქ.დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.37.209	88კვ.მ	72	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი- 300533390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

კოდი- 300533047 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარა);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

ზვიად გამსახურდიას საიუბილეო მარკა მალე გამოიცემა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, „საქართველოს ფოსტა“ მისი სახელობის მარკას გამოსცემს. მარკის ტირაჟი 20 000 ცალია, ხოლო ნომინალური ღირებულება 2 ლარს შეადგენს.

ახალი საფოსტო მარკის პრეზენტაცია 31 მარტს, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეზე გაიმართება.

როგორც “საქართველოს ფოსტის” გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე ამბობს, სამუშაო მეტად საპასუხისმგებლო იყო, რადგან ზვიად გამსახურდიას სახელობის მარკა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასთან ასოცირდება.

მარკაზე წითელი, შავი და თეთრი ფერები დომინირებს, რაც საქართველოს იმდროინდელი დროშისა და გერბის ფერებია. მარკაზე დატანილი პორტრეტი იგივეა, რაც თავად ზვიად გამსახურდიას მიერ 1990 წელს გამოცემულ წიგნის ყდაზეა გამოსახული.

მარკა მიმოქცევაში უახლოეს დღეებში შევა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გადაწყვეტილების შემდეგ. მარკის დიზაინი გოგა ქართველიშვილს ეკუთვნის. ახალი საიუბილეო მარკა უკვე დაამტკიცა მარკების ეროვნულმა კომისიამ.

ულოცავენ!

ვახტანგ კახიძეს!

ბატონო ვახტანგ, ჭეშმარიტად დიდ კომპოზიტორსა და დირიჟორს გულწრფელად გილოცავთ დაბადების საიუბილეო 60 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და კვლავაც ნაყოფიერ შემოქმედებით წარმატებებს.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის სახელით: თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, **თანათავმჯდომარე** ნანა ჭიჭინაძე, თამარ თამაზაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, მარიამ კიკილაშვილი, ნინო ნიკვაშვილი, ლია მაისურაძე, თამილა ნადირაშვილი, დალი ელისაშვილი.

ნანუკა და საბა ნასრაშვილებს!

დაბადების დღეს გილოცავთ ჩემო ლამაზო და საყვარელო შვილიშვილებო. 24 მარტს ნანუკა 5 წლის გახდები, 28 მარტს საბა კი 4 წლის.

ჯანმრთელობა, სიხარული, სილაღე, წინსვლა იყოს თქვენი ცხოვრების თანამდევი. გაიზარდეთ და იბედნიერეთ ჩვენი ოჯახის გასახარად.

ნანი გაღაშვილი
სოფელი ზემო მაჩხაანი

ყურადღება!

დაინიშნა ახალი სამარშუტო რეისი: დედოფლისწყარო-თბილისი. გასვლა დედოფლისწყაროს ავტოსადგურიდან 6:30 სთ. გამოსვლა თბილისიდან (ისანი, მეტროს გადასწვრივ) 18:30 სთ. მოგემსახურებათ კომფორტული MERSEDES-BENZ SPRINTER. მოგაკითხებთ და მიგიყვანთ სახლამდე. მგზავრობის ფასი 6 ლარი. ადგილების დაჯავშნის მიზნით დამიკავშირდით **577 154 005 გიორგი.**

იყიდება!

მეგობრობის ქუჩაზე იყიდება 1200 კვადრატული კომერციული ფართი (სოფელ ხორნაბუჯის ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირე მხარეს). 1 კვ.-ის მ 2 -ის ფასი განისაზღვრება 8 დოლარის ექვივალენტი ლარში. შესაძლებელია ფართის ნაწილობრივი გაყიდვაც. ☎ 599 268028

სიახლე!

აბიტურიენტი, რომელიც კავკასიის სკოლის პროგრამებს პირველ პრიორიტეტად აირჩევს და ეროვნული გამოცდების საკონკურსო ქულებით 500 საუკეთესოს შორის მოხვდება, 4 წლის განმავლობაში ისწავლის უფასოდ.

ყურადღება!

საშაურმე **„დავითმა“** განახლა ფუნქციონირება. აქ მომხმარებელს კვლავ სთავაზობენ შაურმას და გამაგრილებელ სასმელებს. **მისამართი:** ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №53 (სამაშველო სამსახურის მოპირდაპირედ).

☎ 557-23-92-22

ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო „ნიუ ლაიფ ჯორჯია“ სთავაზობს სუროგატ დედობას 19-დან 39 წლამდე ქალბატონებს 15 000-დან 17 000 დოლარამდე ანაზღაურებით.

ინფორმაციისთვის
დაგვირეკეთ: ☎ 599 980 886

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 01.04		სამშაბათი 02.04		ოთხშაბათი 03.04		ხუთშაბათი 04.04		პარასკევი 05.04		შაბათი 06.04		კვირა 07.04	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	2°	1°	3°	4°	6°	5°	8°	6°	10°	8°	12°	10°	11°	10°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.